

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობებში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დაემატოს ახალი მე-15 მუხლი და შემდეგი რედაქციით და შემდგომი მუხლი გადაინომროს შესაბამისად:
 15. „სანქციებთან დაკავშირებული პირობები“
 - 15.1. მხარეები აღიარებენ, ადასტურებენ და თანხმდებიან, რომ თუ: (i) კლიენტზე გავრცელდება გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის (Foreign, Commonwealth & Development Office) (რომლის მიერ დადგენილი სანქციები ადმინისტრირდება ფინანსური სანქციების იმპლემენტაციის სამსახურის მიერ (OFSI)), ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სამსახურის (OFAC) ან/და ევროპის კავშირის (EU) ან/და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს (UNSC) ან/და მათი ნებისმიერი სამართალმემკვიდრის (შემდგომში - **სანქციების ორგანო**) მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქცია ან/და ნებისმიერი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვა, მოთხოვნა ან/და აკრძალვა, ან/და (ii) კლიენტი ან/და პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ან ფლობს კლიენტს (შემდგომში - **კლიენტის მაკონტროლებელი პირი**), ან/და ქვეყანა/ტერიტორია, რომლის რეზიდენტიც არის კლიენტი ან რომელშიც დაფუძნებულია/რეგისტრირებულია ან მდებარეობს ან ოპერირებს კლიენტი, მოხვდება ნებისმიერი სანქცირებული ქვეყნების/ტერიტორიების ან/და სანქცირებული პირების სიაში (მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), რომელიც გამოცემულია/წარმოებულია **სანქციების ორგანოს** მიერ, **ბანკისთვის ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** მინიჭებული სხვა უფლებების შეუზღუდავად, **ბანკი** უფლებამოსილია:
 - 15.1.1. იმოქმედოს **სანქციების ორგანოს** მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით და განახორციელოს **სანქციების ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება, ან/და
 - 15.1.2. დაუყოვნებლივ შეწყვიტოს, შეაჩეროს ან/და უარი თქვას **კლიენტისთვის** ნებისმიერი და ყველა მომსახურების გაწევაზე, მათ შორის, შეუზღუდავად, დახუროს **კლიენტის ანგარიშები ბანკში** ან/და შეაჩეროს/გააუქმოს/უარი თქვას ნებისმიერი გადარიცხვის ან/და დავალების შესრულებაზე.
 - 15.2. **კლიენტი** აქვე **ბანკის** წინაშე და მის სასარგებლოდ აცხადებს, იძლევა გარანტიას და კისრულობს ვალდებულებას, რომ:
 - 15.2.1. **კლიენტი** ან/და **კლიენტის მაკონტროლებელ პირი** არ არის/იქნება **სანქციების ორგანოს** მიერ გამოცემულ/წარმოებულ ნებისმიერ სანქცირებული პირების სიაში (მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით);
 - 15.2.2. **კლიენტი** ან/და **კლიენტის მაკონტროლებელ პირი** არ ახორციელებს/განახორციელებს და არ აქვს განხორციელებული რაიმე ისეთი ქმედება, გარიგება ან/და ოპერაცია, რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს **კლიენტის** ან/და **კლიენტის მაკონტროლებელ პირის** მიერ **სანქციების ორგანოს** მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქციის ან/და **სანქციების ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვის, მოთხოვნის ან/და აკრძალვის დარღვევა ან/და თავიდან არიდება/გვერდის ავლა.
 - 15.3. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** ნებისმიერი ისეთი გარემოების ან/და მოვლენის არსებობის/დადგომის შესახებ, რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს **კლიენტის** ან/და **კლიენტის მაკონტროლებელი პირის** მიერ **სანქციების ორგანოს** მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქციის ან/და **სანქციების ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვის, მოთხოვნის ან/და აკრძალვის დარღვევა ან/და თავიდან არიდება/გვერდის ავლა ან/და რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს **კლიენტის** ან/და **კლიენტის მაკონტროლებელი პირის** **სანქციების ორგანოს** მიერ გამოცემულ/წარმოებული ნებისმიერი სანქცირებული პირების სიაში შეტანა/შეყვანა.
 - 15.4. **კლიენტი** ვალდებულია:



- 15.4.1. არ შეიძინოს რუსეთის ფედერაციიდან ექსპორტირებული ან/და რუსული წარმოშობის ნავთობი ან/და ნავთობპროდუქტები იმ ზღვრულ ნასყიდობის ფასზე მაღალ ფასად, რომელიც დადგენილია **სანქციების ორგანოს** მიერ, ან/და
 - 15.4.2. არ განახორციელოს ისეთი რუსეთის ფედერაციიდან ექსპორტირებული ან/და რუსული წარმოშობის ნავთობით ან/და ნავთობპროდუქტებით ვაჭრობა ან/და მათი გაყიდვა, ექსპორტი, რე-ექსპორტი, იმპორტი, მიწოდება, ტრანსპორტირება ან/და ნებისმიერი ამგვარი ქმედების/საქმიანობის რაიმე ფორმით ხელშეწყობა, რომლის შედეგადაც მოხდა **სანქციების ორგანოს** მიერ დადგენილ ზღვრულ ნასყიდობის ფასზე მაღალ ფასად.
 - 15.5. **კლიენტი** აქვე **ბანკის** წინაშე და მის სასარგებლოდ აცხადებს, იძლევა გარანტიას და კისრულობს ვალდებულებას, რომ:
 - 15.5.1. **კლიენტი** არ ახორციელებს/განახორციელებს რუსეთის ფედერაციიდან ექსპორტირებული ან/და რუსული წარმოშობის ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების შეძენას იმ ზღვრულ ნასყიდობის ფასზე მაღალ ფასად, რომელიც დადგენილია **სანქციების ორგანოს** მიერ;
 - 15.5.2. **კლიენტი** არ ახორციელებს/განახორციელებს ისეთი რუსეთის ფედერაციიდან ექსპორტირებული ან/და რუსული წარმოშობის ნავთობით ან/და ნავთობპროდუქტებით ვაჭრობას ან/და მათ გაყიდვას, ექსპორტს, რეექსპორტს, იმპორტს, მიწოდებას, ტრანსპორტირებას ან/და ნებისმიერი ამგვარი ქმედების/საქმიანობის რაიმე ფორმით ხელშეწყობას, რომლის შედეგადაც მოხდა **სანქციების ორგანოს** მიერ დადგენილ ზღვრულ ნასყიდობის ფასზე მაღალ ფასად.
 - 15.6. **კლიენტი** ვალდებულია, **ბანკის** მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, **ბანკისთვის** მისაღები ფორმით, **ბანკს** მიაწოდოს ნებისმიერი და ყველა ინფორმაცია ან/და დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტის** მიერ:
 - 15.6.1. რუსეთის ფედერაციიდან ექსპორტირებული ან/და რუსული წარმოშობის ნავთობით ან/და ნავთობპროდუქტებით ვაჭრობასთან, ან/და
 - 15.6.2. რუსეთის ფედერაციიდან ექსპორტირებული ან/და რუსული წარმოშობის ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების შეძენასთან, გაყიდვასთან, ექსპორტთან, რე-ექსპორტთან, იმპორტთან, მიწოდებასთან ან/და ტრანსპორტირებასთან, ან/და ნებისმიერი ამგვარი ქმედების/საქმიანობის რაიმე ფორმით ხელშეწყობასთან.
 - 15.7. **კლიენტის** მიერ ზემოთ მოცემული ნებისმიერი განცხადების, გარანტიის ან/და ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკისთვის ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** მინიჭებული სხვა უფლებების შეუზღუდავად, **ბანკი** უფლებამოსილია:
 - 15.7.1. იმოქმედოს **სანქციების ორგანოს** მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით და განახორციელოს **სანქციების ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება, ან/და
 - 15.7.2. დაუყოვნებლივ შეწყვიტოს, შეაჩეროს ან/და უარი თქვას **კლიენტისთვის** ნებისმიერი და ყველა მომსახურების გაწევაზე, მათ შორის, შეუზღუდავად, დახუროს **კლიენტის ანგარიშები ბანკში** ან/და შეაჩეროს/გააუქმოს/უარი თქვას ნებისმიერი გადარიცხვის ან/და დავალების შესრულებაზე.
 - 15.8. **ბანკის** მოქმედება **სანქციების ორგანოს** მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით ან/და **სანქციების ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი ქმედების განხორციელება ან/და **კლიენტისთვის** მომსახურების შეწყვეტა, შეჩერება ან/და მომსახურების გაწევაზე უარის თქმა, არ ჩაითვლება **ბანკის** მიერ **კლიენტის** წინაშე არსებული/ნაკისრი რაიმე ვალდებულების რაიმე ფორმით დარღვევად და **ბანკს** არ დაეკისრება რაიმე სახის პასუხისმგებლობა **სანქციების ორგანოს** მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით მოქმედებისთვის ან/და **სანქციების ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი ქმედების განხორციელებისთვის ან/და **კლიენტისთვის** მომსახურების შეწყვეტისთვის, შეჩერებისთვის ან/და მომსახურების გაწევაზე უარის თქმისთვის.
- 15.9. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკს** აუნაზღაუროს ნებისმიერი და ყველა სახის ზიანი (ზარალი), რომელიც **ბანკს** წარმოემობა **კლიენტის** მიერ ზემოთ მოცემული ნებისმიერი განცხადების, გარანტიის ან/და ვალდებულების დარღვევის შედეგად.“



2. **16.11. პუნქტი** (ძველი რედაქციით **15.11. პუნქტი**) ამოღებულ იქნეს სრულად და შემდგომი **პუნქტები** გადაინომროს შესაბამისად.